საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-197

01/03/2019

ქ. თბილისი

**სს „RMG Copper"-ის „ბოლნისის მუნიციპალიტეტის, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის" პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს „ბოლნისის მუნიციპალიტეტის, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის" პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 22; (15.02.2019წ.);
2. სს „RMG Copper"-მა სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N22 (15.02.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „RMG Copper"-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „RMG Copper"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი